**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2022 წლის 1 ივნისი**
**მორიგი სხდომის**
**ოქმი № 9**

ქ. თერჯოლა 1 ივნისი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21. ფრიდონ გვენეტაძე, 22. ნატალია ასათიანი, 23. მერაბი ბასილაძე, 24. ტარიელ ფანჩულიძე, 25. რუსუდან კოვზირიძე, 26. როლანდი მესხი, 27. ივანე ჩუბინიძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. ამირან ვერულაშვილი, 2. დავით ცხდაძე, 3. კობა კირკიტაძე.

**საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი**
**საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი**
**დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 27 წევრი**
**კვორუმი: 16 წევრი**

**სხდომა დაიწყო 12 $^{00}$ სთ-ზე.**
**სხდომა დამთავრდა - 13$^{00}$ სთ-ზე.**

***საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.***

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282214757, 07.05.2022);

მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ ( თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282214751, 27.05.2022 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყლის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282215070, 30.05.2022 წ.).

მომხს.: ი.რობაქიძე

თანამომხს.; ბ.ბუცხრიკიძე

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა , საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 51.8 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 25138.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 106.1 ათასი ლარით (გრანტი, სატენდერო ეკონომია).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 157.9 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვით ნაწილი შემცირდა 106.1 ათასი ლარით, გზების კეთილმოწყობა. მათ შორის: სოფელ ღვანკითის ავტობანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდა 50.5 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია). ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდა 55.6 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი გზების კეთილმოწყობა გაიზარდა 157.9 ათასი ლარი. მათ შორის სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 30.2 ათასი ლარით. სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 127.7 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**გადაწყვიტეს:** ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია.

2.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და

პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - ნუსხაში შესულია სამი ობიექტი:

1. სოფელ კვახჭირში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 249.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა- საწყისი საპრივატიზაციო საფასური 13600 ლარი.
2. სოფელ რუფოთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 100.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი - საწყისი საპრივატიზაციო საფასური 3500 ლარი.
3. ქ. თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 801.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა- საწყისი საპრივატიზაციო საფასური 31800 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29221521, 01.06..2022 წ.).

3.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური ცენტრის იურისტმა იმედა რობაქიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად თერჯოლის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის საფასურის დადგენა და მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფა მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას, შესაბამისად სფეროს დარეგულირება უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ, კანონშესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებით, კერძოდ საკრებულოს დადგენილებით. ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური" წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგებას. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალმომარაგების ქსელი და ინფრასტრუქტურა არ არის მოწყობილი იმდაგვარად, რომ მოსახლეობა მოვამარაგოთ სასმელად ვარგისი წყლით, სამსახურს უწევს მოსახლეობისათვის ტექნიკური წყლის მიწოდება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. სწორედ აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს აღნიშნული დადგენილების მიღება საკრებულოს მიერ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 , წინააღმდეგი - 1

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყლით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 12, 01.06.2022 წ.).

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი